



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბესლეთი

ბესლეთი, სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტის ბესლეთის თემში (აფხაზეთის არ), მდ. ბესლეთის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 120 მ, უშუალოდ ესაზღვრება სოხუმს. ბ. ზღვისპირა კლიმ.-ბალნეოლ. კურორტია. ჰავა – ზღვის ნოტიო სუბტროპიკული; იცის თბილი, რბილი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 5,8°C) და ცხელი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 23,8°C). სამკურნ. ფაქტორი: ჰავა, თერმული მინერ. წყალი (ტემპ-რა 35,5–42°C). წყალი ორი ტიპისაა: სულფიდური, ქლორიდულ-ნატრიუმიანი (მინერალიზაცია 11–30 გ/ლ) და აზოტური ჰიდროკარბონატული, ქლორიდულ-სულფიდური, კალციუმ-ნატრიუმიანი (მინერალიზაცია 1,3–2,0 გ/ლ). იყენებენ აბაზანებისათვის მოძრაობის ორგანოების, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლ. დაავადებების სამკურნალოდ.

ბ-ის მახლობლად არის ძვ. ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი – XI–XII სს. ერთმალისანი თაღოვანი ხიდი მდ. ბესლეთზე. საერთო სიგრძე 35 მ, მაღის სიგრძე 13,3 მ, სიმაღლე 8 მ. სავალი ნაწილის სიგანე 4,7 მ. ნაგებია კირქვის ფილებითა და დულაბით. შემოსილია ქვის თლილი ბლოკებით, მათ შორის დაყოლებულია ბრტყელი აგურის შრეები. ხიდის თალი ეყრდნობა 8 მ სიგანის ორ ბურჯს, შემალღებულ თაღზე ასასვლელად ორივე მხრიდან მინაყრილებია გამოყენებული. თალის ყოველ საპირე ქვაზე ამოკვეთილია ქართ. ასომთავრული ასოები. ხიდი დღესაც ასრულებს თავის დანიშნულებას.

ბ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: რ ი ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ნ., XI–XII სს. ხიდი მდ. ბესლეთზე, კრ.: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938.

გ. უშვერიძე

ი. ციციშვილი
